სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის7ივნისის არჩევნების ჩატარებისთვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი№ 2

ქ. თბილისი11/05/2023

10^{00} სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მერი კაპანაძე
2. გიორგი ოქიტაშვილი
3. ზურაბ გოგშელიძე
4. აკაკი მიქაბერიძე
5. მირანდა მიქაძე
6. პავლიკა ჯაგუნავა

2023 წლის 11მაისს, 10:00 საათზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის 211-ე აუდიტორიაში გაიმართა სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო კომისიის მეორე სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ - მერი კაპანაძემ, რომელმაც კომისიას წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

დღის წესრიგის პროექტი

1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტი;
2. საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი;
3. 2023 წლის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრა-დამტკიცება;
4. საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის მხარდამჭერ სტუდენტთა (ამომრჩეველთა) მინიმალური სავალდებულო რაოდენობის განსაზღვრა ფაკულტეტების მიხედვით;
5. მხარდამჭერ სტუდენტთა (ამომრჩეველთა) (სარეგისტრაციო ბლანკი) აღრიცხვის ფორმის დადგენა-დამტკიცება.
6. სხვადასხვა

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამთ.

შესაბამისად, წარმოდგენილ დღის წესრიგის პროექტს კომისიამ კენჭი უყარა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი შემდეგი სახით:

დღის წესრიგი

1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტი;
2. საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი;
3. 2023 წლის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრა-დამტკიცება;
4. საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის მხარდამჭერ სტუდენტთა (ამომრჩეველთა) მინიმალური სავალდებულო რაოდენობის განსაზღვრა ფაკულტეტების მიხედვით;
5. მხარდამჭერ სტუდენტთა (ამომრჩეველთა) (სარეგისტრაციო ბლანკი) აღრიცხვის ფორმის დადგენა-დამტკიცება.
6. სხვადასხვა

1. <u>ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტი.</u>

კომისიის თავმჯდომარემ, მერი კაპანაძემ, სხდომის მონაწილეებს განუმარტა, რომ ცესკოს მუშაობის წესი საარჩევნო დებულების გარდა შეიძლება დარეგულირდეს ცესკოს რეგლამენტით. ამიტომ, ცესკოს ეფექტური მუშაობისათვის აუცილებელია ცესკოს რეგლამენტის მიღება.

წარმოდგენილ ცესკოს რეგლამენტის პროექტზე კომისიის წევრთა შორის გაიმართა მსჯელობა,ხოლო განხილვების შემდეგ, შეთანხმებულ საბოლოო ვერსიას უყარეს კენჭი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი -0

დაადგინეს:

დამტკიცდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტი განკარგულების შესაბამისი დანართით

2. <u>საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი.</u>

ცესკოს მოადგილემ, გიორგი ოქიტაშვილმა, სხდომის მონაწილეებს წარუდგინა საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის პროექტი, რომელშიც საარჩევნო დებულების მოთხოვნებისა და ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის გათვალისწინებით განსაზღვრულია საარჩევნო ღონისძიებები ვადების მითითებით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ დოკუმენტზე, გარკვეული წინადადების განხილვისა და ღონისძიებათა გრაფიკის საბოლოო ვერსიაზე შეთანხმების შემდეგ, გადაწყვეტილების მიღებისათვის კენჭი უყარეს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი განკარგულების შესაბამისი დანართით

3. <u>2023 წლის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრა-დამტკიცება;</u>

ცესკოს მდივანმა, ზურაბ გოგშელიძემ, კომისიის წევრებს განუმარტა, რომ საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის, კერძოდ, საბუთების მიღების, განხილვის, შესაძლო ხარვეზის დადგენა-აღმოფხვრისათვის აუცილებელია კონკრეტული თარიღების განსაზღვრა საარჩევნო დებულების 29-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

შესაბამისად, კომისიამ მსჯელობის შედეგად, საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადებთან მიმართებით შემდეგი ერთობლივი პოზიცია ჩამოაყალიბა:

- საარჩევნო სუბიექტთა **საბუთების** მიღების ვადა 2023 წლის 15-19 მაისი.
- **საბუთების** შემოწმება საბუთების მიღების დღიდან 3 დღის ვადაში (გარდა 21 მაისისა, რადგან კვირა დღეა და საბუთების მიღება და რეგისტრაცია არ ხორციელდება), კერძოდ:
    - 15 მაისსმიღებული საბუთებისათვის - 16-18 მაისი;
    - 16 მაისსმიღებული საბუთებისათვის - 17-19 მაისი;

- 17 მაისსმიღებული საბუთებისათვის - 18-20 მაისი;
- 18 მაისსმიღებულისაბუთებისათვის -19-22 მაისი;
- 19 მაისს მიღებული საბუთებისათვის - 20-22 მაისი.

- არსებობის შემთხვევაში **ხარვეზის აღმოფხრისათვის** 2 სამუშაო დღის განსაზღვრა.

კომისიამ აღნიშნულ საკითხს კენჭი უყარა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -6

წინააღმდეგი -0

დაადგინეს:

დამტკიცდეს საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადები.

4. <u>საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის მხარდამჭერ სტუდენტთა (ამომრჩეველთა) მინიმალური სავალდებულო რაოდენობის განსაზღვრა ფაკულტეტების მიხედვით;</u>

კომისიის წევრმა, აკაკი მიქაბერიძემ, კომისია განუმარტა, რომ საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციისათვის აუცილებელია მხარდამჭერ სტუდენტთა/ამომრჩეველთა მინიმალური სავალდებულო რაოდენობის განსაზღვრა, რომელიც მოცემულია როგორც საარჩევნო დებულებაში და ასევე განაპირობებს კანდიდატი არის თუ არა უფლებამოსილი რეგისტრაციისათვის.

აკაკი მიქაბერიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა ფაკულტეტების მიხედვით მხარდამჭერ ამომრჩეველთა მინიმალური სავალდებულო რაოდენობა.

კომისია დაეთანხმა წარმოდგენილ პროექტს და კენჭი უყარეს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი -0

დაადგინეს:

დამტკიცდეს მხარდამჭერ ამომჩეველთა მინიმალური სავალდებულო რაოდენობა

5. <u>მხარდამჭერ სტუდენტთა (ამომრჩეველთა) (სარეგისტრაციო ბლანკი) აღრიცხვის ფორმის დადგენა-დამტკიცება.</u>

კომისიის წევრმა, მირანდა მიქაძემ, კომისიის წევრებს წარუდგინა სარეგისტრაციო ბლანკის, იგივე მხარდამჭერ ამომრჩეველთა აღრიცხვის ფორმის პროექტი.

კომისიამ მოიწონა და საწინააღმდეგო აზრი არ გამოუხატავთ.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს მხარდამჭერამომრჩეველთა აღრიცხვის ფორმა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე მერი კაპანაძე

კომისიის მდივანი ზურაბ გოგშელიძე